ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2387281

ნომერი: AR1368980

თარიღი : 11.01.2016

გაცემის თარიღი : 14.01.2016

გაცნობის თარიღი : 15.01.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინო ჟვანია , N 28 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინო ჟვანია , N 28 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ მურღულია პ/ნ 01008007052
- ქ. თბილისი ნაფარეულის ქ. 11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინიტსრაციულ- ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ”ფ” ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, ”ე” ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ არსებული შენობა ახალაშენებულია და ჩამოყალიბებული იერსახის მატარებელია, რომელიც წარმოადგენს ერთ მთლიან არქიტექტურულ ელემენტს, სამსახურს მსგავსი სახით ფასადის რეკონსტრუქცია შესაძლებლად არ მიაჩნია. საპროექტო ფასადის ფერები შეხამებული იქნას შენობის არსებულ ფერთან. სარეკლამო აბრების მოწყობა განხორციელდეს მხოლოდ წარწერის სახით (შავი ფონის დადების გარეშე). ასევე სარეკლამო აბრები მოეწყოს ისე, რომ არ დაიფაროს ზემოთ არსებულ აივანზე მდებარე წყლის სადინარები. კიბის ბაქნის მოწყობა არ უნდა განხორციელდეს ავტოფარეხში ჩასასვლელი კარის თავზე.

საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი (როგორც გვერდითა მხრიდან ასევე პირდაპირი ხედიდან დამუშავებული, რათა უკეთ იქნას გამოკვეთილი კიბის ბაქნის განთავსების ადგილი) ყოველივე ზემოაღნიშნულების გათვალისწინებით დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.
- წარმოსადგენია არსებული და საპროექტო გეგმები და ჭრილები.
- ვინაიდან შენობა ახალაშენებულია წარმოსადგენია პროექტის ავტორის მიერ ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.
- ვინაიდან სარეკლამო აბრის მოწყობა ხორციელდება მეორე სართულის აივანზე საჭიროა წარმოადგინოთ აივნის მესაკუთრის მიერ ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისად დაურთოთ ფართის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათებიდან დგინდება, რომ საპროექტო ფასადზე განთავსებულია საცხოვრებელი სახლის აღმნიშვნელი ნუმერაცია, ვიდეო თვალი, გარე განათება და საკომუნიკაციო ქსელები, ხოლო ფოტომონტაჟზე ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებული არ არის. საჭიროა წარმოადგინოთ ვიდეო თვალის, გარე განათების და საკომუნიკაციო ქსელების მესაკუთრეების მიერ ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები აღნიშნული "დეტალების" დემონტაჟის თაობაზე. ხოლო საცხოვრებელი სახლის აღმნიშვნელი ნუმერაციის შემთხვევაში კი ამხანაგობის კრების ოქმი ნუმერაციის გადატანის ან გაუქმების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის აღმნიშვნელი ნუმერაცია, ვიდეო თვალი, გარე განათება და საკომუნიკაციო ქსელები დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.